წიგნების გამომცემლობა ალ. არაბიძის და ამხ.

გეროლნტი ქიქოძე

# პოლიტიკური წერილები

თბილისი
სამხედრო სამინისტროს სტამბა
1920

გერონტი ქიქოძე

# პოლიტიკური წერილები

29698

1. პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა კონსტიტუცია?
2. აღმოსავლეთი თუ დასავლეთი?
3. ოსმალეთი და საქართველო
4. ადერბეიჯანის რევოლუციის გამო.

Библиотека-музей имени Акад. Г. Рамишвили

თბილისი
სამხედრო სამინისტროს სტამბა
1920

# ავტორისაგან

ამ წიგნაკს საფუძვლად უძევს იდეა წინაზიელ ერების სოლიდარობისა. ერთგულ და კლასობრივ შეღლით გათიშული კაპიტალისტური ქვეყანა უფსკრულისკენ მიექანება. მხოლოდ რევოლუციას შეუძლია იხსნას ევროპა ზნეობრივ და ფიზიკურ გახრწნისაგან. მაგრამ რაგორიც არ უნდა იყოს ბურჟუაზიული დასავლეთის ბედი, ჩვენ გვრწამს, რომ საქართველო და მისი მეზობლები შეინარჩუნებენ ადამიანობის უმაღლეს იდეალებს, და ენტუზიაზმით გამსჭვალული შრომა ხელახლა გაცოცხლებს მიძინებულ კულტურას, რომელიც მოგოლების შემოსევამდე ჭეშმარიტად დამასკს,ა ბაღდადსა, სამარყანდსა და თბილისში.

თბილისი

7 მაისი, 1920.

# პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა კონსტიტუცია?

ყველა ხმები ჯერ კიდევ დათვლილი არ არის, მაგრამ უეჭველია რომ აფხაზეთმა საერთოდ დიდი გულგრილობა გამოიჩინა დამფუძნებელ კრების დამატებით არჩევნებში. შეიძლება მართალი იყოს „ბორბის“ ფელეტონისტი, რომელიც ამ მოვლენას აამი დღის კოკისპირული წვიმითა და აფხაზთა სეპარატისტული ინტელიგენციის აგიტაციით ხსნის. მაგრამ ეს აბსენტეიზმი რაღაც განკერძოებული და არაჩვეულებრივი მოვლენა არ არის ჩვენს პოლიტიკურს ცხოვრებაში. პირიქით, რაც დრო გადის მით უფრო კლებულობს ხალხის ინტერესი პოლიტიკურ არჩევნებისადმი და იყო შემთხვევები, რომ სათემო ერთეულების მოწყობა შეუძლებელი გახდა კარგი დარებისა და ლოიალიზმის მიუხედავად. თვით საქართველო ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს. ვინც ყურადღება მიაქცია უკანასკნელ დროის საპარლამენტო არჩევნებს საფრანგეთსა, იტალიასა, ჰუნგრეთსა და რუმინიაში, შეამჩნევდა, რომ აბსენტეიზმი არაჩვეულებრივად ძლიერი იყო ამ სახელმწიფოებში.

ზოგიერთი ევროპიელი პუბლიცისტი ამ მოვლენას პარლამენტარიზმის დაცემით ხსნის.. ჩვენში

პარლამენტარიზმის დაცემაზე ლაპარაკი ზედმეტია, მიტომ რომ არავითარი პარლამენტარიზმი არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. ეს ნათლათ დაგვანახვა ორი წლის გამოცდილებამ. თანამედროვე პარლამენტი ძველი დროის საკანონმდებლო დაწესებულებისაგან განსხვავდება არა მარტო იმით, რომ ის წარმომადგენლობითი ორგანოა, არამედ იმითაც რომ ის კლასობრივ თანამშრომლობის პრინციპზეა აგებული. პოლიტიკურ ინტერესთა და იდეათა შეჯახება თუ შეთანხმება თვით პარლამენტის კედლებში ხდება და არა მის გარეშე, როგორც ეს მაგალითად რომში ხდებოდა, სადაც პლებსს თავისი საკუთარი საკანონმდებლო ორგანო ჰქონდა (სახალხო კრება) და პატრიციატს თავისი (სენატი). იქ ამ ორი დაწესებულების შესათანხმებლად განსაკუთრებული უფლებამოსილი პირები იყვნენ საჭირო და როცა ეს შეთანხმება არ ხერხდებოდა, სისხლის მღერელი სამოქალაქო ომი იმართებოდა. თანამედროვე პარლამენტი, რასაკვირველია, არც სპობს და არც ანელებს კლასობრივ ბრძოლას, მაგრამ ის დებატებისა და კენჭის ყრით სწყვეტს იმ საკითხებს, რომელთაც რესპუბლიკის დროის რომაელები ხშირად იარაღით სწყვეტდნენ.

საპარლამენტო ბრძოლა და შეთანხმება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ არსებობს

რამოდენიმე პოლიტიკური პარტია, რომელიც ერთმანეთში პრინციპებით და ინტერესთა შეგნებით განსხვავდება. მარტო დოქტრინა არ ჰქმნის პოლიტიკურ პარტიას. ეს ნათლად დაამტკიცა თანამედროვე რუსეთმა, სადაც ერთი და იმავე დოქტრინის მაღიარებელი მოღვაწეები სულ სხვა და სხვა ბანაკებში მოხვდნენ და პირიქით ერთსა და იმავე ბანაკში სხვა და სხვა დოქტრინის ხალხმა მოიყარა თავი. სამ დიდ თანამედროვე ტიპიურ პარტიიდან კონსერვატორები მემამულე არისტოკრატიის ინტერესთა შეგნებით ხელმძღვანელობენ, ლიბერალები ბურჟუაზიის, ხოლო სოციალისტები მუშათა კლასის. აქედან ცხადია, რომ საპარლამენტო პარტიული დანაწილება მაჩვენებელია კლასობრივ დანაწილებისა, რომელიც თანამედროვე ევროპიულ საზოგადოებას ახასიათებს და სადაც კლასობრივი საზოგადოება არ არსებობს, იქ არ შეიძლება არც ნამდვილი საპარლამენტო ცხოვრება არსებობდეს.

წარმოადგენს თუ არა ქართველი ერი კლასობრივ საზოგადოებას, ამ სიტყვას ევროპიული მნიშნველობით? ჩვენ გვგონია, რომ არა. კლასობრივ სხვადასხვაობას ჰქმნის არა შეძლების მეტნაკლებობა, არამედ დამოკიდებულება ზედმეტ ღირებულების წარმოებისა და მითვისების პროცესთან. თანამედროვე მემამულე და ბურჟუა ნიშნავს არა უბრალო მდიდარს, არამედ მიწისა და საწარმოვო ძალე-

ბის პატრონს და ზედმეტ ღირებულების მიმთვისებელს, თანამედროვე პროლეტარი ნიშნავს არა უბრალო ლატაკს, არამედ ზედმეტ ღირებულების შემქმნელს. უკანასკნელი აგრარულ რეფორმის შემდეგ, რომელმაც შრომის ნორმა შეჰქმნა, ჩვენ აღარ გვყავს მემამულე არისტოკრატია; ჩვენ არც ბურჟუაზია გვყავს, თუმცა ბოლო დროს ბლომად გაჩნდნენ ფულიანი სპეკულანტები: მაგრამ მათ არ გააჩნიათ საწარმოვო ძალები, ეროვნულ მეურნეობაში არავითარ როლს არ ასრულებენ და ეკონომიურ თვალსაზრისით ნამდვილ პარაზიტებს წარმოადგენენ.

აქედან ცხადია, თუ რად არის ჩვენი დამფუძნებელი კრების მუშაობა ასე ერთფეროვანი: იქ სხვადან სხვა და სხვა პოლიტიკურ დოქტრინის მაღიარებელნი, მაგრამ იქ არ არიან სხვა და სხვა საზოგადოებრივ კლასის წარმომადგენელნი. ერთად ერთი პარტია, რომელიც თავიდანვე შეეცადა განსაკუთრებულ კლასის ნიადაგზე დამდგარიყო იყო ე. წ. ნაციონალისტური პარტია, რომლის ლიდერს ერთგვარი სიცხოველე შეჰქოდა საპარლამენტო დებატებში. მაგრამ საზოგადოებრივ საფუძვლის გაქრობამ ნელ-ნელა ნიადაგი გამოაცალა ბ. ვეშაპელის შეურიგებლობას. მემარცხენე ოპოზიცია ყოველთვის უფრო ლმობიერი იყო. ეს ლმობიერება აიხსნება არა მეთაურების უენერგიობით და უნიჭობით, როგორც ზოგიერთი მათი მოწინააღმდეგე ამტკიცებს, არამედ იმ გარე-

მოებით, რომ სოციალისტ-რევოლუციონერები და ფედერალისტები არსებითად იმავე საზოგადოებრივ ელემენტებს ეყრდნობიან, რომელსაც მთავრობის პარტია, მხოლოდ სოციალის-რევოლუციონერებს ცოტაოდენი პროვინციული ელფერი გადაჰკრავს.

ყველა ეგრედ წოდებული დიდი საპარლამენტო დღეები გარეშე მაყურებელზე ალბათ ხელთოფელათა ომის შთაბეჭდილებას ახდენს. მაყურებელი ინსტიქტიურად გრძნობს, რომ ამ სიტყვიერ ბრძოლას რეალურ ძალთა განწყობილებისთვის არავითარი მნიშვნელობა არ აქვს: მთავრობის პარტია და ოპოზიცია მეტნაკლებად წარმოადგენენ არა განცალკევებულ საზოგადოებრივ წრეებს, არამედ გლეხობას და მუშათა კლასს ე. ი. მთელს თანამედროვე ქართველს ერს; ოპოზიციისთვის მთავრობის კრიტიკა თვითკრიტიკაა, ამ თვითკრიტიკას სოციალდემოკრატიაც აწარმოებს. ამიტომ თითქმის ყველა შეკითხვა პოლიტიკურად სრულიად უშედეგოთ თავდება: ოპოზიციის ორატორი აღნიშნავს მთავრობის ნაკლს და შეცდომებს, მაგრამ ვერ ამტკიცებს, რომ თვით მას პრინციპიულად განსხვავებული პოლიტიკის წარმოება შეეძლოს; გამოდის მინისტრი და გულახდილად აღიარებს თუ რაიმე ნაკლს და შეცდომებს ჰქონდა ადგილი; დამსწრე საზოგადოება ჰფიქრობს რომ შეიძლება შემკითხველს უარესი შეცდომები ჩაე-

დინა, მინისტრის ადგილზე რომ ყოფილიყო. ხშირად ხდება რომ ოპოზიციას შეკითხვა შეაქვს მთავრობის ხელქვეით აგენტების ბოროტმოქმედების შესახებ; კამათში ჩნდება რომ მთავრობას კარგა ხანია კიდეც ბოროტმოქმედება აღმოუჩენია და ზომებიც მიუღია მის აღმოსაფხვრელად. ასეთს შემთხვევაში საპარლამენტო დებატები უმანკოგართობის ხასიათს იღებს და უნაყოფო დროს დაკარგვას წარმოადგენს.

მაგრამ დამფუძნებელ კრების მუშაობის უნაყოფობა სჩანს არა მარტო შეკითხვებში, არამედ საკანონმდებლო მუშაობაშიც. როგორც გასულ წლის ანგარიშიდან სჩანს, დამფუძნებელ კრებას ერთი წლის განმავლობაში სულ 415 საკანონმდებლო აქტი მიუღია; მთავრობის ინიციატივით შემოსულა 328 პროექტი, თვით დამფუძნებელ კრების კომისიების ინიციატივით კი 77. ეს არ არის ცოტა, მაგრამ რაოდენობას დიდი მნიშვნელობა არ აქვს საპარლამენტო მუშაობის ნაყოფიერებისთვის.

კანონის უბრალესობა შეეხება კრედიტთა გახსნას მიმდინარე სახელმწიფო ხარჯებისთვის ან კიდევ უკვე გაწეულ ხარჯების უკანა რიცხვით დადასტურებას. ჩვენ ცოტა გვახსოვს ისეთი პროექტი, რომელშიც ან კომისიას და ან პლენუმს რაიმე არსებითი ცვლილება შეეტანოს: უმრავლესობა მიღებულ იქმნა ისე, როგორც მთავრობამ შემოიტანა, ხშირად კამათიც არ გამართულა. ბოლოს კანონ-პროექტების

დასასტურება უშინაარსო ფორმალობად იქცა, ამ ფორმალობის დაცვა მხოლოდ აძნელებს და აგვიანებს საჭირო სახელმწიფოებრივ ზომების მიღებას.

ამით, რასაკვირველია, იმის თქმა არ გვინდა, რომ დამფუძნებელ კრების მოწვევა პოლიტიკური შეცდომა ყოფილიყოს. დამფუძნებელი კრების მთავარი დანიშნულება კონსტიტუციის შემუშავებაა და არა ყოველდღიურ საკანონმდებლო მუშაობის გაწევა. საკონსტიტუციო მუშაობაში კი ჩვენ დამფუძნებელ კრების გზით შეგვიძლია მივახწიოთ იმ რეზულტატებს, რომელთაც რუსის ბოლშევიკებმა ტეროორით და სამოქალაქო ომით მიაღწიეს. ეს იქნება ძალთა ეკონომია, რასაც ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენისთანა პატარა ერისთვის.

რადგან ჩვენი ერის სოციალური შენობა არ ჰგავს ბურჟუაზიული საზოგადოების შენობას, არც ჩვენი დაწერილი კონსტიტუცია შეიძლება ევროპიულ სახელმწიფოების დაწერილ კონსტიტუციას ჰგავდეს. დიდი შეცდომა იქნება, თუ კონსტიტუცია პედანტიურად ევროპიულ სახელმძღვანელოებიდან გადმოვსწერეთ. ასეთი შეთხზული კონსტიტუცია ორ დღესაც ვერ იცოცხლებს. ჩვენი საზოგადოება არის მშრომელი საზოგადოება, ოთხმოცდა ცხრამეტ პროცენტს გლეხები, მუშები და მშრომელი ინტელიგენცია შეადგენს. მას შეეფერება სწორედ ის რესპუბლიკა; რომელსაც საბჭოთა რესპუბლიკა ჰქვია.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა იდეა სრულიადაც რუსის ბოლშევიკების გამოგონებას არ წარმოადგენს. პირველი რევოლუციური საბჭოები 1905 წელს რუსის ხალხის სტიქიურმა შემოქმედებამ წარმოშვა. თვით ტროცკი იმ დროს მენშევიკი იყო, როცა პეტროგრადის მუშათა საბჭოს მეთაურობდა. ბოლშევიკები მაშინაც და შემდეგაც დამფუძნებელ კრების იდეას იცავდნენ. მაგრამ უკანასკნელ რევოლუციის დროს ბოლშევიკებმა რეალისტური ინსტიქტით იგრძნეს, რომ დამფუძნებელ კრება მკვდარი დაწესებულება იყო თანამედროვე რუსეთისთვის. რუსის მენშევიკებმა დიდი შეცდომა ჩაიდინეს, რომ ცხოველმყოფელი რევოლუციური იდეა დასთმეს და თავისი პოლიტიკური პრესტიჟი იმ მიცვალებულ დაწესებულებას თან გადააყოლეს. ამაში გამოჩნდა მათი დოქტრინორობა, რაც ყველაზე სახიფათო ნაკლია რევოლუციის დროს.

ჩვენ არ უნდა გავიმეოროთ რუსის მენშევიკების შეცდომები. ეს დამღუპველი იქნება არა მარტო ახლანდელ მთავრობისთვის, არამედ მთელი ხალხისთვის. მკვდარი მწიგნობრული სიბრძნით არ შეიძლება ცხოველმყოფელი იდეების დამარცხება. ეს დაამტკიცა რუსეთის სამოქალაქო ომის შედეგებმა, სადაც ბოლშევიკებმა უფრო იდეებით გაიმარჯვეს, ვიდრე ხიშტებით.

მართალია საბჭოთა კონსტიტუცია მუშათა და

გლეხკაცთა დროებითს დიქტატურას ჰგულისხმობს, მაგრამ საქართველოში, სადაც მშრომელი ხალხი ერის უდიდეს ნაწილს წარმოადგენს, ასეთი დიქტატურა სრულიად მცირერიცხოვან უქმ და უსარგებლო საზოგადოებრივ წრისთვის იქნებოდა საზარალო. ამას გარდა, როგორც ცნობილია, საბჭოთა სისტემასთან საყოველთაო შრომის ბეგარაა შეკავშირებული. მხოლოდ მშრომელი არის აღჭურვილი სრული პოლიტიკური უფლებით, მაგრამ მეორე მხრივ, ყოველი მოქალაქე ვალდებულია რაიმე სოციალურად სასარგებლო შრომას მოჰკიდოს ხელი. ასე რომ დიქტატურა შინაგანი ლოგიკით თანდათან ნამდვილი შრომის დემოკრატიაში გადადის. ნელნელა ჰქრება დღევანდელი დამღუპველი გათიშვა ფიზიკურ და გონებრივ შრომისა და გადაგვარებული და ტლანქი კაცობრიობა უახლოვდება იმ იდეალს, რომელსაც პროუდონმა ლოგოსის გამოცხადება უწოდა.

დამფუძნებელ კრებიდან საბჭოთა რესპუბლიკისკენ! აი რა უნდა იყოს დღევანდელი დღის ლოზუნგი.

4.IV. 1920

# აღმოსავლეთი თუ დასავლეთი?

ღია წერილი სეით დევდარიანისადმი.*)

თქვენ სცდილობთ, სეით, თეორეტიული ინტერესი გააცხოველოთ ჩვენს პრესაში. ეს ცდა მით უფრო დროს შესაფერი და საქებია, რომ დღეს ახალ სახელმწიფოს შენობას ვაგებთ, არქიტექტურაში კი ყოველთვის საჭიროა ნათელი წარმოდგენის ქონა შენობის ანსამბლზე ე. ი. სტილსა და საერთო გეგმაზე.

მაგრამ რას იტყოდით ხუროთმოძღვრის შესახებ, რომელიც მიგიყვანდათ მიწისძვრის ან სხვა რაიმე სტიქიონის მიერ ნახევრად დანგრეულ სახლთან და გეტყოდათ: — მოდით ეს ხავსიანი და გაბზარული კედლები გადავხუროთ და ვიცხოვროთ ისე როგორც ადრინდელ ბინადრებს უცხოვრიათო? მე მგონია, რომ ცოტა არ იყოს, იჭვის თვალით შეხედავდით ასეთ ხუროთმოძღვარს. თქვენ იფიქრებდით, რომ უფრო საიმედო იქნებოდა, თუ სტიქიონის მიერ დაწყებულ ნგრევას წაკატითა და კეტით დავამთავრებდით და გამოსადეგ მასალას სრულიად ახალ შენობისთვის გამოვიყენებდით.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ეს ნამდვილი ბოლშევიზმია. ეს ხომ ლენინმა სთქვა, რომ აუცი-

*) იხ. მისი წერილი: ორნაირი დიქტატურა „ერთობა“ 6.III. 1920 წ.

ლებლად საჭიროა ძველი სახელმწიფოს მანქანის დამსხვრევა. ეს ასეა, მაგრამ ეს არაფერს ამბობს თვით აზრის სიავკარგის შესახებ. ეს ულირსი ქცევა იქნებოდა ლენინის საფრთხობელად გადაქცევა, როგორც ულირსია მისი გალმერთება. ჩვენ არ ვამბობთ, რომ ქართული სახელმწიფო შენობა სწორეთ ისე უნდა აიგოს, როგორც რუსულ სახელმწიფო შენობას ლენინი და მისი თანამშრომლები აგებენ. ასეთი არქიტექტურა ულაზათოც იქნებოდა (წაბაძულება ყოველთვის ულაზათოა) და პრაქტიკულად გამოუსადეგიც. ხუროთმოძღვრებამ ყოველს შემთხვევაში ანგარიში უნდა გაუწიოს ჰავის, ნიადაგის და ბინადარის მოთხოვნილებას. პაროსისა და კარარის ახლოს მარმალილოს სახლებს აგებენ, ფინლიანდიაში გრანიტის ქვისას და ფიჭვის ხისას. წვიმიან ქვეყნებში უფრო წვეტიანი და დაფერდებული სახურავი გამოდგება, მშრალ და ცხელ ქვეყნებში კიდევ ბრტყელი ან ბანისებური. საქართველოში, სადაც მზის სხივები უხვად ანათებს, გონიერმა არქიტექტორმა შენობას ჩრდილოვანი კოლონადა უნდა შემოავლოს.

უნდა შევითვისოთ არა მზამზარეული ნიმუშები, არამედ შინაგანი აზრი და მეთოდი რევოლუციისა და აღორძინებისა. სად უნდა ვეძიოთ ეს რევოლუციური აზრი? თქვენ თვითონ ამტკიცებთ, რომ თანამედროვე დასავლეთ ევროპის ამინდი ხელს

არ უწყობს რევოლუციას, მაგრამ მაინც გვირჩევთ ევროპიული დემოკრატიის მაგალითს წავბაძოთ და არა რუსეთს. თქვენ ისტორიულ წარსულში ეძებთ რევოლუციური შთაგონების წყაროებს. თქვენ ამბობთ, „რომ საბჭოთა, ანუ უკეთ ვსთქვათ ლენინელების დიქტატურა უნდა ჩაბარდეს ისტორიას. პარიზის კომუნის მიერ ამართული დროშა უნდა დაგვიდგეს წინ გზის მაჩვენებლად“. მაგრამ რა უპირატესობა აქვს პარიზის კომუნას რუსეთის კომუნის წინაშე. თქვენ ამტკიცებთ, რომ „პარიზის კომუნა 1871 წელს აირჩიეს საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭის ყრით... პარიზის კომუნა იყო უმრავლესობა უმცირესობის წინააღმდეგ. საბჭოთა მთავრობა უმცირესობაა უმრავლესობის წინააღმდეგ.“ ამ ორს დებულებაში პირველი სწორია, მეორე კი შემცდარი. მართლია პარიზის კომუნა საყოველთაო საარჩევნო სისტემას ეყრდნობოდა, მაგრამ იმ დროს, როცა პარიზში კომუნა დაწესდა, კონტრევოლუციური ბურჟუაზია თითქმის სავსებით ვერსალში იყო გახიზნული. ამიტომ პარიზის კომუნა არსებითად ისეთივე მუშათა მთავრობა იყო, როგორც რუსის კომუნისტების მთავრობაა. მაგრამ პარიზის კომუნა ორ თვეში დამარცხდა, რუსეთის საბჭოთა მთავრობამ კი ორწელიწად ნახევარზე მეტი გასძლო. ეს განსხვავება სწორედ იმით აიხსნება, რომ 1871 წელს კომუნისტური იდეა უმცირესო-

ბის იდეათ დარჩა და პარიზის კედლებს ვერ გასცილდა, დღეს კი კომუნიზმი შეუკავშირდა ჯერ რუსეთ გლეხობისა და შემდეგ ჩაგრულ ერების ბელს.

საზოგადოთ ახირებული ყოფაქცევა იქნებოდა რომ დამარცხებულთა გზით გვევლო და არა გამარჯვებულთა. ტიერმა და გალიფემ ისე საფუძვლიანათ გაუღეს სისხლი პარიზის პროლეტარიატს, რომ შემდეგ ეს კლასი წელში ველარ გასწორებულა. თანამედროვე პარიზი ალარ არის რევოლუციის მექა: ის ნამდვილი ბაბილონია, სადაც გაყიდული ქალები, ბირჟის მაკლერები და დეკადენტი მწერლები სინიდისისა და სხეულის სპეკულაციას ეწევიან.

ჩემთვის სრულიად გაუგებარია რა უპირატესობა უნდა ჰქონდეს ქართველისა და რევოლუციონერის თვალში დასავლეთის ორიენტაციას ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინაშე. ჩრდილო-აღმოსავლეთში სწარმოებს არა უბრალო რევოლუცია, არამედ კულტურული განახლება, ბურჟუაზიული ევროპა დეკადანსის გზაზე სდგას. მართალია რუსეთში სამოქალაქო ომი მძვინვარებს, დასავლეთ ევროპაში კი სამოქალაქო მშვიდობიანობაა, მაგრამ ეს მშვიდობიანობა ძლიერ წაგავს მინელებულ კრატერის მშვიდობიანობას. თუ იქაურმა პროლეტარიატმა თავი ვერ დააღწია იმ დამბლასა და ლეტარგიას, რომელმაც მთელი ევროპა მოიცვა, თუ მან რევოლუციური ენერგია, დისციპლინა და შეგნება ვერ გამოიჩინა,

ევროპიული ბურჟუაზიული კულტურა დაიღუპება ისევე როგორც ერთს დროს რომის კულტურა დაიღუპა. და ახირებული იქნებოდა რომ ჩვენი ახალგაზრდა ჯანსაღი ერიც თან მიგვეყოლებინა. ეს გაუგებარი იქნებოდა როგორც ნაციონალური ისე რევოლუციური თვალსაზრისით.

თქვენ ამბობთ, რომ ბოლშევიკების უდიდესი დანაშაული იმაშია, რომ მათ ძალმომრეობას მიმართეს. მაგრამ განა რევოლუციის მოხდენა ან კულტურის გარდატეხა შეიძლება ძალმომრეობის გარეშე? რუსის კომუნისტების ტერორს გასამართლებელი საფუძველი ჰქონდა ამ წინააღმდეგობაში, რომელიც მათ მთელი ევროპის იმპერიალიზმმა გაუწია. როცა ეს წინააღმდეგობა განელდა, საბჭოთა მთავრობამ მოსპო სიკვდილით დასჯა. მაგრამ რა გასამართლებელი საბუთი აქვს იმ აღვირახსნილ თეთრ ტერორს, რომელსაც დღეს გამარჯვებული კონტრრევოლუციური ბურჟუაზია აწარმოებს ჰუნგრეთში? ლიბერალურ გერმანულ გაზეთების გადმოცემით ეს არის ნამდვილი ნადირობა უიარაღო მუშებსა, მასწავლებლებსა და პროფესორებზე, ინკვიზიცია პატარა ბავშვებისა, თვით უსულო საგნების წინააღმდეგ: სხვათა შორის ბუდაპეშტის ბიბლიოთეკიდან გამოიტანეს და დასწვეს ასორმოცდაათი ათასი ტომი, რომელიც ერთს მარქსის მკვლევარს შეეწირა. ჭეშმარიტად შეიძლე-

ბა ითქვას, რომ გამარჯვებული რევოლიუცია უფრო ლმობიერია ვიდრე გამარჯვებული რეაქცია.

ჩვენ როგორც პატარა ჩაგრულმა ერმა განსაკუთრებული მადლობით უნდა მოვიხსენოთ რუსეთის დიდი რევოლუცია. ამ რევოლუციამ მოგვანიჭა თავისუფლება, რომელიც ერთი საუკუნის წინათ დავკარგეთ და ეროვნული მთლიანობა, რომელიც არ გვქონია მეთოთხმეტე საუკუნის შემდეგ. იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა მხოლოდ მის შემდეგ გვიცნეს, როცა წითელმა არმიამ ტაგანროგი და როსტოვი აიღო. და დარწმუნებული უნდა ვიყოთ რომ სამაჰმადიანო ნაწილსაც იმავე წითელი არმიის წინსვლა დაგვიბრუნებს.

6. III. 1920.

# ოსმალეთი და საქართველო*).

ლონდონის კონფერენციამ გადასწყვიტა კონსტანტინოპოლი ოსმალეთის ბატონობის ქვეშ დასტოვოს. რადიო-ტელეგრაფმა გადმოგვცა ის ცოტა არ იყოს გულახდილი კომენტარიები, რომელიც ამ გადაწყვეტილებისთვის საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს გაზეთს „ტანს“ უძღვნია. თუ „ტანს“ დავუჯერებთ, ინგლისი თავდაპირველად მომხრე ყოფილა ოსმალოების ევროპიდან განდევნისა. საფრანგეთი, პირიქით, ამთავითვე უფრო სათუთად მოპყრობია მაჰმადიანების მგრძნობიაროობას. ბოლოს ორ მოკავშირეს შორის ერთგვარი მეგობრული შეთანხმება მომხდარა და „ავადმყოფი ადამიანი“ ჰუმანიური და მედიკური მოსაზრებებით, თავისი ხანგრძლივი ავადმყოფობის ადგილას დაუტოვებიათ ძველს ბიზანტიაში.

ასეთია ოფიციალური კომენტარიები, მაგრამ ასეთია თუ არა საქმის ნამდვილი ვითარებაც? ამ საკითხის გარკვევაში ყველაზე მეტად ჩვენ ვართ დაინტერესებულნი, იმიტომ რომ ოსმალეთის ბედი ყველაზე ახლო საქართველოსა და მის მეზობლებს ეხე-

---

*) პირველად დაიბეჭდა გაზეთ „ერთობა“-ში ცოტაოდენი კუმბიურებით; აქ აღგდეინლია პირვანდელი ტექსტი.

ბა. შეიძლება ჩვენს წარსულში არც ერთს ისტორიულ მოვლენას არ უთამაშნია ისეთი დიდი როლი, როგორიც ბიზანტიის დამხობამ ითამაშა. მოსალოდნელია რომ მომავალშიაც საქართველოსთვის ოსმალეთის ბედს უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

მართალია „ტანის“ ცნობა, რომ ოსმალეთის საკითხში ანტანტის შეხედულებამ ერთგვარი ევოლუცია განიცადა. მაგრამ, რასაკვირველია, აქ არაფერს შუაშია არც ჰუმანიზმი და არც მედიცინა. იმ ოპერაციების შემდეგ, რომელიც გერმანიასა და ავსტრია-ჰუნგრეთს გაუკეთეს, ოსმალეთის შებრალებას არავინ მოელოდა; მაგრამ „ავადმყოფი ადამიანი“ ნაკლებ ავადმყოფი აღმოჩნდა, ვიდრე ეგონათ. ოსმალოს ნაციონალისტებმა გამოიჩინეს წინააღმდეგობის ძალა, რომელსაც მათგან არავინ ელოდა. ანტანტა იძულებული გახდა დათმობის გზას დასდგომოდა. პირველად ეს დათმობა ფარულად სომხების ხარჯზე მოხდა. დიდი სომხეთის იდეა განიწირა. ახლა აშკარად დიდი საბერძნეთის იდეაც იწირება.

მეორე ფაქტორი, რომელიც იმავე მიმართულებით მოქმედობს, ბოლშევიზმის ტერიტორიული და იდეური გაფართოვებაა. როგორც ნოვოჩერკასკისა და როსტოვის აღებამ საქართველოსა და ადერბეიჯანის ფაქტიური ცნობა დააჩქარა, ისე ნიკოლაევისა და ოდესის აღებამ ანტანტის გული ოსმალეთისადმი ,,გაასათუთა''.

იგივე გაზეთი ,,ტანი'' 19 იანვრის მეთაურში ისევე გულახდილად სწერდა: „საუკუნოვების განმავლობაში მოსკოვი და ისლამი ერთი მეორის საწინააღმდეგო ფაქტორებს წარმოადგენდენ აზიაში. მონგოლებმა რუსეთის განვითარება შეაჩერეს. რუსეთმა ოსმალოების დეკანდასი დააჩქარა. რუსეთის გაფართოებამ შეკვეცა პანთურანული პროპაგანდა და აზიელი მუსულმანობის უმრავლესობას დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისკენ წაუბიძგა. სამაგიეროდ დამოუკიდებელი სპარსეთი რუსეთს ინდოეთის ოკეანეს აშორებდა, დამოუკიდებელი ოსმალეთი კიდევ ხმელთა შუა ზღვას. დღეს ყველაფერი ეს შეიცვალა. დღეს ბოლშევიზმს თავი მოაქვს იმით, რომ ის პანისლამიზმთან ერთად მოქმედობს. აი კავშირი, რომელიც აუცილებლად უნდა გაწყვეტილ იქმნას მომავალ ზაფხულამდე: ის უფრო ადვილად გაწყდება ისლამის დაშოშმინებით, ვიდრე ლენინთან შეთანხმებით“.

გაზეთის მეორე მეთაურში იგივე აზრი კიდევ უფრო გარკვევით იყო გამოთქმული: „ოსმალოს არმია უმნიშვნელო რაოდენობას არ წარმოადგენს. ოსმალური ნაციონალიზმი პოლიტიკურ ძალად იქცა. კოსტანტინოპოლი დღეს მთელი დედამიწის მაჰმადიანების გამაერთიანებელი ცენტრია... განა უკეთესი არ იქნება, რომ ეს ოსმალური ნაციონალიზმი მისი არმიით ოსმალეთის ნორმალური ცხო-

ვრების აღსადგენად გამოვიყენოთ? მით უმეტეს, რომ ჩვენ ამ ქვეყნის კრედიტორები ვართ. განა მუსულმანური გრძნობა, რომელიც არსებითად ტრადიციულია, მოკავშირეთ არ გამოგვადგება ბოლშევიზმის წინააღმდეგ, რომელიც ყოველი ტრადიციისა და სამშობლოს გრძნობის მტერია?''

ამ ამონაწერიდან ნათლად სჩანს, რომ ანტანტა იმავე ,,მომაკვდინებელი ცოდვითაა'' შეპყრობილი, რომელიც ჩვენში რატომღაც მხოლოდ ბოლშევიკების კუთვნილებათ მიაჩნიათ. ევროპიელი იმპერიალისტები რუსის კომუნისტებს ეჯიბრებიან დოლბანდიანი ადამიანის გულის მოგებაში. ეს სრულიადაც არ არის გასაკვირალი: როგორც ფხიზელი რეალისტები ლლოიდ-ჯორჯი და კერზონი უწინარეს ყოვლისა პოლიტიკურ ფაქტორებს უწევენ ანგარიშს და არა განყენებულ პრინციპებს და ან მით უმეტეს სიმპატიისა და ანტიპატიის გრძნობებს. ისლამი კი დღეს ძალიან დიდს პოლიტიკურს ფაქტორს წარმოადგენს. ამიტომ არც იდეური და არც ემოციური მოსაზრებები ხელს არ შეუშლის ევროპიელი იმპერიალიზმისა და აზიური ისლამის ,,კოოპერაციას'' თუ ინტერესთა სფეროებში შეთანხმება მოხდა. მაგრამ სწორედ ეს არის საეჭვო.

მართალია დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრი, კერზონი, სწორედ ის პიროვნებაა, რომელიც ინგლისს ყველაზე მეტად გამოადგება ახალი პოლიტიკური

კურსის ხელმძღვანელობაში. კერზონი ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ ინგლისის მსოფლიო ბატონობას უდიდესი საფრთხე რუსეთის მხრივ მოელის. ჯერ კიდევ ინდოეთში ყოფნის დროს მან შეიმუშავა პროგრამა, რომელსაც უკანასკნელმა დიდმა ომმა თითქოს რეალური საფუძველი მისცა. ამ პროგრამის მიხედვით ოსმალეთს წმინდა არაბული პროვინციები (არაბეთი, მესოპოტამია, სირია) უნდა ჩამოეცალოს და სპარსეთთან ერთად დიდი ბრიტანეთის პროტექტორატს დაექვემდებაროს. ამგვარათ შეიქმნება ერთი დიდი მაჰმადიანური იმპერია ქაიროდან დაწყებული კალკუტამდე, რომელიც უფრო ადვილათ შეასრულებს რუსეთის საწინააღმდეგო ბარიერის როლს ვიდრე სუსტი დამოუკიდებელი სპარსეთი და ოსმალეთი. როგორც ვთქვით, ეს პროგრამა თითქოს განხორციელებულია იმ გამონაკლისით, რომ სარიაზე თავისი პრეტენზიები განაცხადა საფრანგეთმა, რაც, როგორც ცნობილია, პარიზის კონფერენციის მიერ დაკმაყოფილებულ იქმნა.

მაგრამ ინგლისის იმპერიალისტურ მიზნების მიღწევას წინ გადაეღობა ერთი დიდი ფაქტორი, რომელიც ხელმძღვანელ პოლიტიკოსებს შეიძლება წინასწარ არც კი ჰქონდათ ხეირიანად გათვალისწინებული. აღმოჩნდა, რომ ისლამში სოლიდაროობის გრძნობა ბევრად უფრო ძლიერია, ვიდრე ქრისტიანულს კაცობრიობაში და კერძოდ ოსმალეთის სა-

კითხი მთელს მაჰმადიანობას აღელვებს. არაბულ პროვინციებს უნდათ განთავისუფლება, მაგრამ სრულიადაც არ სურთ არც ინგლის-საფრანგეთის პროტექტორატი, არც ოსსალეთის დამცირება. ეგვიპტესა და ავღანისტანის ამბებმა, ინდოელ მაჰმადიანების თანაგრძნობამ შთამაგონებელი და გამამხნევებელი ძალა შთაბერა ოსმალოს ნაციონალისტებს, რომელთა გავლენაც ბოლო დროს უფრო გაიზარდა, ვიდრე ეს მათ რიცხვსა და შეიარაღებულს ძალას შეეფერება.

რა დასკვნა გამომდინარეობს ამ დახლართულ მოვლენათა ქსელიდან ჩვენი საკუთარი პოლიტიკისთვის? ზოგიერთ ჩვენ პოლიტიკურ წრეებში გადაჭარბებული ილუზიებია ანტანტის შესახებ; თუ ამ ილუზიებს დროზე არ გამოვეთხოვეთ, შეიძლება ისეთი მწარე წუთების განცდა მოგვიხდეს, როგორიც სომხებმა განიცადეს უკანასკნელ წლის ვანმავლობაში. როგორც ბალშევიკები ცდილობენ ოსმალოები ინგლისის ხარჯზე დააკმაყოფილონ, ისე ინგლისის მთავრობა ეცდება ეს დაკმაყოფილება ყოფილი რუსეთის ხარჯზე მოხდეს. ეს კი უწინარეს ყოვლისა ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების დაზარალებას მოასწავებს. ამიტომ დიდი ყურადღება გვმართებს, რომ ზოგიერთ ჩვენს პროვინციას ვანის და არზრუმის ბედი არ ეწვიოს. სტამბოლელი ინგლისუ-

რი გაზეთის მოზაზრება (რომელიც ქართულ გაზეთებშიაც იყო გადმოღებული), რომ ბათომის პროვინცია ეთნოგრაფიულად არც რუსეთს ეკუთვნის და არც კავკასიის რესპუბლიკებს, დიდათ ნიშანდობლივიც არის და დიდათ დამაფიქრებელიც. რასაკვირველია, ინგლისის პოლიტიკურ ხელმძღვანელებს ისიც კარგად ესმით, რომ ბათომის პირდაპირ ოსმალეთისთვის გადაცემა საქართველოს ძალაუნებურად საბჭოთა რუსეთს დაუახლოვდება ე. ი. ბოლოს სწორეთ იმ საფრთხეს გააძლიერებდა, რომლის ასაცილებლად დღეს ოსმალეთის გულის მოგებას ცდილობენ. ამიტომ ამ საკითხის გადაჭრაში ანტანტის მხრივ ორპირი მაკიაველისტური პოლიტიკაა მოსალოდნელი. ჩვენთვის კი ანტანტის და ოსმალეთის შეკავშირება ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე ისლამში ოლშევიზმის გავრცელება. ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ოსმალეთის შემტევი ენერგია სამხრეთით იყოს მიმართული და არა ჩრთილოეთით. ამას გარდა ცხადია ისიც, რომ ევროპის იმპერიალისტებს იმდენათ მაჰმადიანური ქვეყნების „კოოპერაცია“ არ ესაჭიროებათ, რავდენათაც მათი ბაზრისა და ნედლის მასალის ექსპლოატაცია. ეკონომიური ექსპლოატაცია კი აუცილებლად ამ ქვეყნების კულტურულ ჩამორჩენას გულისხმობს. მინიმალურ ანგარიშით დღევანდელს ევროპაში არის ზედმეტი ასი მილიონი სული, რომლისთვისაც ევროპამ საკვები გარედან უნდა

შემოიტანოს. ეს არის ის მარტივი, ტლანქი ფაქტი, რომელიც საფუძვლათ უდევს ურთულეს იმპერიალისტურ სპეკულიაციას. მაგრამ თუ ნილოსის, მესოპოტამიის და ანატოლიის ნაყოფიერი ველები ამ მშიერი არმიის გაძღომას მოუნდა, წინა აზიელი ერები კიდევ დიდხანს ხელგაწვდილ მათხოვრებათ დარჩებიან.

საქართველოს ინტერესი მოითხოვს რომ, წინა აზია კულტურულათ ისევე აყვავდეს, როგორც მეცამეტე საუკუნემდე ყვაოდა. საქართველოს ინტერესი მოითხოვს, რომ წინააზიელ ერებს შორის ძველებური იდეური და კომერციული აღებ-მიცემობა აღდგეს თანასწოროობის და ნამდვილ კოოპერაციის ნიადაგზე. ამასვე ითხოვს რუსეთის და სომხეთ-ადერბეიჯანის ინტერესი.

21. II 1920.

# ადერბეიჯანის რევოლუციის გამო.

ეგრეთ წოდებული საზავო კონფერენცია დასეირნობს ევროპაში, მან რავდენიმე სატახტო ქალაქი და კუროორტი შემოვლო კიდეც, მაგრამ ნამდვილი ზავი ჯერ არსად სჩანს. სტიქიონურმა ძალებმა ისეთი გასაქანი იპოვეს, რომ მათი დამორჩილება არ ძალუძს არა თუ ანტანტის სახელმწიფოების პრემიერ-მინისტრებს, არამედ საზოგადოთ ადამიანის ნებისყოფასა და გონებას.

ბაქოში კომუნისტების შესვლას განუზომელი მნიშვნელობა აქვს. ეს მოასწავებს დღემდე უკულტურო თურქული რასის გამოსვლას ისტორიულ ასპარეზზე.

ჩვენ გვგონია რომ საქმე ამით არ დამთავრდება. ნავთის ქალაქი ისეთ საშინელ ასაფეთქებელ რეზერვუარს შეიცავს, რომ მას შეუძლია შეანძრიოს მთელი წინა აზია. გაზეთებში ცნობა იყო კიდეც, რომ ადერბეიჯანის საბჭოთა მთავრობა ყარაბახის გზით ანატოლიისკენ ჯარის გაგზავნას აპირობს მუსტაფა ქემალის მოსაშველებლად. ეს ცნობა ჯერ კიდევ შემოწმებული არ არის, მაგრამ თავისთავად არაფერს წარმოადგენს არაბუნებრივს ან დასაძრახისს. თუ ოსმალეთში მართლაც კომუნისტური ჯარი შევიდა,

შეიძლება იქაც ის მოხდეს, რაც ბაქოში მოხდა: კონსტანტინოპოლის ანგლოფილური ლიბერალური კაბინეტი დაემხოს და მისი ადგილი რევოლუციურმა და რუსოფილურმა მთავრობამ დაიჭიროს.

დღეს ოსმალეთში არსებითად ორი მთავრობაა. ერთია ბრწყინვალე პორტა, რომელიც უსიტყვოთ ასრულებს ანტანტის ბრძანებას; მეორეა გენერალი მუსტაფა ქემალი, რომელმაც გადაყენებულად გამოაცხადა სულთანი და მისი მთავრობა. რავდენადაც ანატოლიის ნაციონალური ჯარი და მისი სარდალი უცხო კაპიტალისა და რეაქციური ბურჟუაზიის გავლენას ებრძვის, ის უდიდეს რევოლუციურ როლს ასრულებს ოსმალეთში. და თუ ამ ჯარმა გაიმარჯვა, ის დაამთავრებს ოსმალეთის პოლიტიკურ განახლებას, რაც ახალგაზრდა ოსმალთა რევოლუციამ დაიწყო, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიტანა.

არზრუმი ოსმალეთის თავრიზია, მუსტაფა ქემალ ფაშა ოსმალეთის სათარხანი. როგორც ამ ათიოდე წლის წინათ ბაქოდან ქართველი რევოლუციონერები სპარსეთის რევოლუციური ჯარის დასახმარებლად მიდიოდნენ, ისე დღეს იმავე ბაქოდან ადერბეიჯანელი რევოლუციონერები მიდიან ოსმალო ნაციონალური ჯარის დასახმარებლათ. დიდი უკუღმართობა იქნებოდა, რომ საქართველომ ამას ხელი შეუშალოს. ეს იქნებოდა ქართული სისხლით ინგლისის საქმის კეთება. ქართველი ხალხი ყო-

ველთვის ინსტინქტიურად გრძნობდა, რომ მისი კეთილდღეობა და თავისუფლება დღეგრძელი არ იქნება, თუ მეზობელ ქვეყნებში რევოლუციამ არ გაიმარჯვა.

საქართველოს აღორძინება დაიწყება ან წინა აზიასთან ერთად, ან სულ არ დაიწყება.

7. V. 1920.

# შინაარსი


| | |
|---|---|
| | გვ. |
| პარლამენტარიზმი თუ საბჭოთა კონსტიტუცია? | 5 |
| აღმოსავლეთი თუ დასავლეთი? . . . . . | 14 |
| ოსმალეთი და საქართველო . . . . . | 20 |
| ადერბეიჯანის რევოლუციის გამო . . . | 28 |

32
ƒ 561

ფასი 10 მან.